პროფესიული განათლების დუალური სისტემის პერსპექტივები საქართველოში

შოთა ვაშაყმაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს შეუსაბამობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. სამთავრობო თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ პროფესიული სასწავლებლების მიერ შეთავაზებული კურსები ვერ აკმაყოფილებს დამსაქმებლების მოთხოვნილებებს როგორც პროფესიების მრავალფეროვნების, ასევე არასათანადო კვალიფიკაციის თვალსაზრისით. მოცემული პრობლემატური სიტუაციიდან გამოსავლად საქართველოს მთავრობამ წამოაყენა განათლების დუალური სისტემის გერმანული მოდელის დანერგვა. როგორც კვლევისას გამოჩნდა, ზემოხსენებული ტიპის განათლების სისტემის განხორციელება საქართველოში ინსტიტუციურ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მათგან უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს გერმანიისა და საქართველოს განსხვავება პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის თვალსაზრისით. საქართველო მკვეთრად გამოხატული ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რაც განათლების დუალური სისტემის გერმანული მოდელისათვის არასათანადო გარემოდ ითვლება. გარდა ამისა სირთულეს წარმოადგენს არასათანადო კოორდინაცია როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლობითი ასოციაციების სუსტი ქსელი. ყოველივე ზემოხსენებული კი დუალური მოდელის სისტემურ დანერგვას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ადგილი რჩება მხოლოდ ფრაგმენტული პრეცენდენტებისათვის.